პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 55 (13737)

კვირა, 5 მარტი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

დღეს ნომერში

• სოფლის მშრომელთა დიდი საზრუნავი
• დეპუტატები სვლებიან თავიანთ პომრჩევლებს
• მსოფლიო გუშინ და დღეს
• ახალი ამბები, ცნობები

ერთგული ბიბლიოთეკა

სოფლის მშრომელთა ამოცანები საიუბილეო წელს

საბჭოთა ხალხი დიდი შემოქმედებითი აღმავლობით უმზადდება აღნიშნოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავი. ჩვენი ქვეყანა წარმატებით ავითარებს მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, მეცნიერებასა და კულტურას.

სამშობლოს აყვავებისა და ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის საერთოსახალხო სამშენო ღირსეული წელი შეაქვს საბჭოთა გლეხობს. ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მრეწველობის აქტიური დახმარებით გასულ წელს მნიშვნელოვანი შედეგები მოიპოვეს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიყვანეს და ორგანიზებულად აიღეს მარცვლეულის, მზესუმზირას, ბამბის, შაქრის ჭარხლისა და სხვა კულტურების კარგი მოსავალი. მარცვლის საერთო მოსავალი გადიდდა ორმეტი პროცენტით ყველაზე მოსავლიანი 1964 წელთან შედარებით. აშენ საშუალება მოგვცა წარმატებით დაგვთავრებინა ზესაყოველი და გეგმის გადამეტებით დაგვემზადებინა 1 მილიარდ 175 მილიონი ფუთი პური. გაიზარდა პირუტყვის ხელადობა, გადიდდა მისი პროდუქტიულობა. სახელმწიფომ შეიძყიდა მეტი ხორცი, რძე და კვერცხი, ვიდრე წინა წელს. განმტკიცდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკა: კოლმეურნეობათა შემოსავალი გადიდდა თხუთმეტი პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად მოგებით დაამთავრეს წელიწადი, გაუმჯობესდა სოფლის მშრომელთა კეთილდღეობა.

ხუთწლედის პირველი წლის შედეგები, როგორც ვხედავთ, ნაყოფიერია. მაგრამ მიუტევებელი შეცდომა იქნება დაკმაყოფილდეს მიღწეულს, შეეგასუხტოთ ყურადღება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებისადმი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების აღმავლობა, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა, — კომუნისტური მშენებლობის საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. მის გადაწყვეტას უნდა მოხმარდეს მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ღონისძიებანი". თანმიმდევრობით, თანდათანობით უნდა წამოვიწიოთ სოფლის მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობისა და წარმოების ორგანიზაციის მხრივ მრეწველობის დონემდე, ყოველი ღონისძიებით მივაღწიოთ მისი ეფექტიანობის გადიდებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარცვლის წარმოებას. ხუთწლედში მთლიანად ჩვენს ქვეყანაში მარცვლის საშუალო წლიური მოსავალი უნდა გაიზარდოს 30 პროცენტით წინა ხუთწლედთან შედარებით. ამიტომ პირველივე ოცეულ საქმეა მოსავლიანობის გადიდება. პარტია მოუწოდებს სახოფლო-სამეურნეო ორგანოებს ხელმძღვანელებს, ყურადღებას მიაქცევენ. სოფლის ყველა მშრომელს ფართოდ ამაალეონ მიწათმოქმედების კულტურა, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ თვითეული ჰექტარი მიწა.

ახლა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამთავრებენ მიმდინარე წლის გეგმების შედგენას. წარმოების განვითარების დაგეგმვის დროს ისინი თვალისწინებენ უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოს ინტერესებს, მის შეკვეთებს. სოფლის მეურნეობის მუშაკთა ვალი და მოვალეობაა უზრუნველყონ პროდუქციის გაყიდვის გეგმის შესრულება როგორც საერთო მოცულობის, ისე თვითეული მისი სახეობის მხრივ. მაგრამ, როგორც ცნობილია, სახელმწიფო შეკვეთა მინიმუმია. „...თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, — ნათქვამია პარტიის XXIII ყრილობის დირექტივებში, — ყოველწლიურად არა მარტო უნდა შეასრულოს მტკიცე გეგმები, არამედ აგრეთვე სულ უფრო მზარდი ოდენობით უნდა მიჰყიდოს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მარცვალი გადიდებულ ფასად, გაითვალისწინოს აგრეთვე მზესუმზირას, ხამი ბამბის, საბოჭკოე ხელის, რძის, მატყლის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების ზეგეგმითი შესყიდვა".

სოფლის მეურნეობის აღმავლობაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის გეგმის სტაბილურობა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს დამზადების დაგეგმვის ისეთ წესს, რომელიც ქმნის რწმენას მუშაობში, ინტერესებს მათ არა მარტო გეგმის შესრულებით, არამედ აგრეთვე ზეგეგმითი პროდუქციის მიღებით. კარგი დანამატები ზეგეგმითი პროდუქციისათვის ძალზე ხელსაყრელია წარმოებისათვის. ისინი დიდ მატერიალურ სტიმულებს ქმნიან. ეს სარგებლობა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა განსაკუთრებით იგრძნეს შარშან, როცა მონაწილეობდნენ სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით პურის მასობრივ მიყიდვაში.

ამ პირობებში აშკარად მცდარია ზოგიერთი ეკონომისტის აზრი, რომლებიც წინადადებას იძლევიან უარი ვთქვათ იმაზე, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოვცეთ სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვის მტკიცე გეგმები ან დავუგეგმოთ მათ დამზადება მხოლოდ ფულადი გამოხატულებით. ეს წინადადებანი არსებითად მიზნად ისახავენ ცენტრალიზებული დაგეგმვის შესუსტებას. მათი მიღება ზიანს მიაყენებდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა საჭირო პირობა აქვთ, რომ განუხრელად ზარდონ პროდუქციის წარმოება. სახელმწიფო ყლოთწლობით ზრდის სოფლისათვის მანქანების, სასუქის, სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიწოდებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დიდი სახსრები ხმარდება მელიორაციას, სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებას. პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს ადმინისთრატიული-ორგანიზაციული ღონისძიებანი. შემოღებულია კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურება. ვითარდება და მტკიცდება დემოკრატიული საფუძვლები კოლმეურნეობებში, უმჯობესდება სოფლის მეურნეობის დაგეგმვა და მართვა.

ყოველივე ამან ხელსაყრელი პირობები შექმნა წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის. სოფლის მეურნეობის მშრომელებს ახლა ამ ინინი ინ ინ ინ

ხალხის დიდება

(დასასრული)

ხნის კულტურის სახლში შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, ცემენტის ქარხნის საყალიბო მანქანის უფროს მემანქანეს **ვარდენ დავითის-ძე მანდულაშვილს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა „ასპის ცემენტის ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. მგელაძემ ამომრჩევლებს აცნობა, რომ კომუნისტი ვ. დ. მანდულაშვილი საწარმოს საუკეთესო მუშაკია. ბრიგადა, რომელსაც მეთაურობს დეპუტატობის კანდიდატი, კომუნისტური შრომის ერთ-ერთი საუკეთესო კოლექტივი და გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ამომრჩეველები მ. მერებაშვილი, ვ. კოტლიარი, ე. ბახუაშვილი და სხვები.

დეპუტატობის კანდიდატმა აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ მთელ თავის ძალასა და ენერგიას მოახმარს იმას, რომ გაამართლოს მათი დიდი ნდობა.

ლაგოდეხი. სოფელ ნინიგორის კოლმეურნეობა „მეგობრობა“ ლაგოდეხის რაიონის ერთ-ერთი საუკეთესო მეურნეობაა. აქ სისტემატურად სრულდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. კოლტალის მშრომელებმა განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს შარშან. მათ სახელმწიფოს მიაყიდეს 355 ტონა თამბაქო, გეგმით გათვალისწინებული 305 ტონის ნაცვლად. 207 ტონა ყურძენი. 215 ტონა ბოსტნეული, სოფლის მეურნეობის ბევრი სხვა პროდუქტი. და ამ წარმატებებში დიდი დამსახურება მიუძღვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ითორდანე სოლომონის-ძე აბრამიშვილს — კოლმეურნეობის გამოცდილ ხელმძღვანელს, ვარდისტბნის № 185 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა **ი. ს. აბრამიშვილი** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

ამ დღეებში ი. ს. აბრამიშვილი შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ვარდისუბნის საშუალო სკოლის დირექტორმა ა. ჩხეიძემ ამომრჩევლებს გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა, მოუწოდა მათ ხმა მისცენ ი. ს. აბრამიშვილს.

ი. ს. აბრამიშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და აღუთქვა, რომ გაამართლებს მათ დიდ ნდობას.

ბალი. საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი **სერგი ესტატესძე ჭილაია** — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ნაბადაურის № 365 საარჩევნო ოლქში — შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — სოფელ ოტობაიის საშუალო სკოლის დირექტორმა ო. ზანთარაიამ შეკრებილთა გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, მოუწოდა მათ ხმა მისცენ ს. ე. ჭილაიას.

ნდობით აღჭურვილ პირს მხარი დაუჭირეს სოფელ ნაბაკევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომმა ბ. ოკუჯავამ, სოფელ სიდის საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. თორიამ და სხვებმა.

შემდეგ გამოვიდა ს. ე. ჭილაია, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და აღუთქვა, რომ მთელ თავის ძალღონეს მოახმარს მათი ყოველგვარი დავალების შესრულებას.

გუდაუთა. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი გუდაუთის № 344 საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **რაფიელ რაფიელის-ძე ლეონიძე** შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

შეხვედრაზე ნდობით აღჭურვილმა პირმა — გუდაუთის № 2 საშუალო სკოლის პედაგოგმა ტ. გუნბამ და სხვებმა დაახასიათეს დეპუტატობის კანდიდატი როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი, ამომრჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს ესოდენ დიდი პატივისცემისთვის და აღუთქვა, რომ გაამართლებს მათს დიდ ნდობას.

ფოთი. ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ალმასკომის კომუნალური განყოფილების მთავარმა ინჟინერმა ჯ. ადამიაიამ შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, დაახასიათა იგი როგორც საუკეთესო მუშა.

— თინა პლატონის ასული ტაბაღუა, — თქვა ფოთის რკინიგზის სადგურის უფროსმა ა. ნადირაშვილმა, — აქტიური საზოგადოებრივი მოშაკია. დარწმუნებული ვარ, რომ იგი გაამართლებს ჩვენს ნდობას დიდ სახელმწიფო ასპარეზზეც. მოგიწოდებთ ხმა მისცეთ მას.

შემდეგ გამოვიდა თ. პ. ტაბაღუა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის და აღუთქვა, რომ გაამართლებს ამ ნდობას. (საქდესი).

ეკონომიური რეფორმის სიკეთე

საიუბილეო წელი — გადამწყვეტი ეტაპი

საქართველოს სსრ კანონმდებლობის მრავალათასიანი კოლექტივის წინაშე წელს ახალი სერიოზული ამოცანებია დასახული. რასაკვირველია, ახალი ეკონომიური რეფორმა, ზრუნვა ამისათვის, რომ საუკეთესოდ, ორგანიზებულად განვახორციელოთ იგი, კვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებისაგან მოითხოვს ამ სერიოზული საკითხის ღრმად და დეტალურად შესწავლას. ამიტომ საწარმოთა გადაყვანას მეურნეობის მართვის ახალ ფორმებზე თან ახლავს დიდი ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ჯერ კიდევ შარშან ჩვენს საწარმოებს მიეცათ ახალ პირობებში მუშაობისთვის საჭირო ზუსტად განსაზღვრული მოგების სიდიდე. შევიმუშავეთ საკუთარ სახრჯნაგ საშუალებათა ეკონომიურად დახარჯვის ნორმები და ნორმატივები; შეძლებისდაგვარად თვითეულ საამქროს დავუგეგმეთ თვითღირებულება და რენტაბელობა, რომ მკვეთრად გაგვეიდიდებინა ოსტატთა და საამქროს თვითეული მოშუშავის პასუხისმგებლობა ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საქმეში.

ეკონომიური რეფორმის განხორციელებამდე შევიმუშავეთ კადრების ეკონომიური სწავლების პროგრამა, რომელიც შემდგომი მოღვაწეობის აუცილებელი პირობაა. გამოცდილი ეკონომისტებისაგან დავაკომპლექტეთ ლექტორთა ჯგუფი.

1966 წლის დასაწყისიდანვე საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო და მასში შემავალი ტრესტები, ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დახმარებით, შეუდგნენ ახალ პირობებში გადასაყვანი საწარმოთა ფინანსური საქმიანობის კომპლექსურ შესწავლას, საბრუნავი სახსრების ნორმირებას, მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების მაქსიმალურ შემცირებას, ნედლეულის, დამხმარე მასალებისა და ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმების გადახედვას და, რაც მთავარია, პროდუქციის რეალიზაციის საქმეში სათანადო წესრიგის დამყარებას.

სამინისტრომ ჩამოაყალიბა ამ რეფორმის ხელმძღვანელი შუდმივი კომისია, რომელშიც შედიან როგორც ეკონომიური სამსახურის, ისე საწარმოების, მომარაგებისა და ტექნიკის დინერგვის დარგში მომუშავე ხელმძღვანელი მუშაკები. ანალოგიური კომისიები შეიქმნა ტრესტებშიც. გასული წლის მარტიდან სამინისტრომ ტრესტებისა და საწარმოთა მუშაკების მონაწილეობით რამდენიმე მეთოდური თათბირი მოიწვია, რომლებზეც შესწავლილ იქნა სათანადო მითითებანი და ინსტრუქციები ახალი სისტემის დანერგვის საკითხებზე. ამ თათბირებს დაესწრო 110 კაცი.

ტრესტმა „საქჩაიმ“ გასული წლის ივლისში მოიწყო ოთხდღიანი სემინარი საწარმოთა ხელმძღვანელების, ეკონომისტების და ბუხგალტრების მონაწილეობით, რომელსაც ესწრებოდა 120 კაცი. შარშან ოქტომბერში ამავე ტრესტში მოეწყო ეკონომისტებისა და ინჟინერ-ნორმადარების ერთთვიანი კურსები, სადაც რამდენიმე სემინარი და ლექციო დაეთმო ახალ ეკონომიურ რეფორმაზე გადასვლის საკითხებს.

სამტრესტმა გასული წელს გამართა 4 ინსტრუქციული თათბირი, რომელზეაც ესწრებოდნენ საწარმოთა დირექტორები, ეკონომისტები და ბუხგალტრები. ანალოგიური სემინარები მოეწყო „საქპურტრესტში“, „საქკონდიტერში“, „საქმინვალწყლებში“ და ტრესტ „საქმინერალწყლებში“ და ტრესტ „საქეთერზეთში“.

ამრიგად, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ხანგრძლივ სემინარებზე, სინსტრუქციო და მეთოდურ თათბირებზე, კურსებზე შარშან კვალიფიკაცია აიმაღლა 400 მუშაკმა, გარდა ამისა, ჩვენი ტრესტებისა და საწარმოების რამდენიმე ათეულმა მუშაკმა მონაწილეობა მიიღო საკავშირო თათბირ-სემინარებში, რომლებიც გასულ წელს მოაწყეს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ცალკეულმა მთავარმა სამმართველოებმა.

მიმდინარე წელს საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ მეთოდურ კაბინეტსა და ტრესტების სასწავლო კურსებზე ეკონომიურ სწავლებას გაიკლის 480-500 კაცი. კვალიფიკაციის ამაღლების გარდა სასწავლო გეგმებში დიდი ადგილი ეთმობა მუშობის ახალი პირობების შესწავლის საქმეს.

აღსანიშნავია, რომ დაგეგმვიხა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით განხორციელებულმა ღონისძიებებმა უკვე შარშან თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო. ეი შედეგიც:

სამინისტროს საწარმოებმა ხუთწლედის პირველი წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 107 პროცენტით შეასრულეს, რითაც 1965 წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 16 პროცენტით გაზარდეს, ხოლო შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი 11 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მოვიღეთ 4,5 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება. პროდუქციის ძირითადი სახეების მიხედვით საწარმოო პროგრამა ნატურალურ გამოსახულებაში დიდი გადაჭარბებით შეგასრულეთ, მზა ღვინისა და ეთერზეთების გამოკლებით, რაც დაკავშირებული იყო ღვინის რეალიზაციის დიდ შეფერხებებთან და ეთერზეთოვანი კულტურების მოუსავლიანობასთან. შარშან ჩვენმა საწარმოებმა 40 ახალი დასახელების სასურსათო ნაწარმის წარმოება აითვისეს და მომხმარებელს მასობრივად მიაწოდეს. მკვეთრად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, გარეგანი გაფორმებისა და შეფუთვის საქმე.

ვახორციელებთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის დირექტივებს, შარშან წლის მეორე ნახევრიდან ჩვენი სამინისტროს ხუთი საწარმო გადავიყვანეთ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდით მუშაობაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხუთივე საწარმომ მკვეთრად გააუმჯობესა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა სამინისტროს საერთო მაჩვენებლებზე.

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე შარშან წლის მეორე ნახევრიდან გადავიდა. უკვე ივნისის ბოლოსათვის საწარმოს ჰქონდა მეცხრამეტე ადგილი.

3. ვადაჭკორია,
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი.

ფაბრიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშრომელთა ინიციატივის განვითარებას.

ახალი ეკონომიური რეფორმის განხორციელებაში ფაბრიკის სამეურნეო ხელმძღვანელობას დიდ დახმარებას უწევს ეკონომიური ანალიზის ბიურო, რომელიც სისტემატურად ეძებს რენტაბელობის განმტკიცების გზებს. ბიუროში შემავალი 17 კაცი ფაბრიკის პასუხისმგებელი მუშაკები და წამყვანი პროფესიის მუშები არიან. ისინი თვეში ერთხელ იკრიბებიან სხდომაზე, ღრმა ეკონომიურ ანალიზს უკეთებენ გადაჭრილ და გადაუჭრელ საკითხებს.

ახალი სისტემის წყალობით ფაბრიკის კოლექტივმა მკვეთრად გაუმჯობესა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

საწარმომ შარშან წლის მეორე ნახევრის ნატურაპროდუქციის გამომშვებების გეგმა 108,6 პროცენტით შეასრულა. მნიშვნელოვნად ამაღლდა წარმოების კულტურა, თითქმის მთლიანად იქნა ლიკვიდირებული ტექნოლოგიური პროცესის დარღვევის შემთხვევები. ამის შედეგად აქ 1965 წელთან შედარებით სამჯერ შემცირდა არასწორმოო ხარჯები, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 11,9 პროცენტით გაიზარდა, თვითღირებულების შემცირების შედეგად დაიზოგა 43 ათასი მანეთი, პროდუქციის რეალიზაციის თანხამ 2.533 ათას მანეთს გადააჭარბა, ხოლო ზეგეგმითმა დაგროვებამ 129 ათასი მანეთი შეადგინა.

რეალიზაცია და მოგება — ეს ის მთავარი ბერკეტი, რომელმაც საშუალება მისცა ფაბრიკის კოლექტივს დროულად შეექმნა უკელა საფაბრიკო ფონდი, განვითარებინა წარმოება, დაესახა ახალი სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი და გამოეყო მატერიალური ანაზღაურების ფონდები.

ახალი სისტემით მუშაობის სიკეთეს მუშები უკვე ნათლად ხედავენ. მუშა-მოსამსახურეებისათვის შენდება 77-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რაც ძირითადად დაკმაყოფილებს მათს მოთხოვნილებას. მუშებს აქვთ კლუბი, სპორტული მოედანი, ბანაკი და სამრეცხაო.

ფაბრიკა წარმატებით ასრულებს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სანაკოო ვალდებულებებს. ახალ პირობებში დაწესებული სავალდებულო გადასახადები, ძირითადი ფონდებისა და ნორმირებული საბრუნავი სახსრების საფასური მან დროულად გადაიხადა, გაისტუმრა მაღლები კრედიტის დასაფარავი პროცენტები, თითქმის სამჯერ გაზარდა მუშა-მოსამსახურეთა პრემიების ფონდი (მათ შორის მუშებისათვის 4-ჯერ, ხოლო ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეებისათვის — 2-ჯერ, იმასთან შედარებით, რაც მათთვის ძველი დებულების თანახმად უნდა დაერიცხათ). გარდა ამისა, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე და სანიაო მშენებლობაზე შარშან წლის მეორე ნახევარში გამოიყო 10 ათასი მანეთი, ხოლო წარმოების გაფართოებისათვის — 30 ათასი მანეთი.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ძველ ფაბრიკაში — „ბაბანეულის“ ფაბრიკაში — ასევე ეფექტიანად ფუნქციონირებს. ეს ფაბრიკა ადრე ეწოდებოდა „ბაბანეულის“ ფაბრიკა. ეს ფაბრიკა ადრეულ საბჭოთა ხანაში

საერთაშორისო ხელოვნება

ჩინეთის ამბები

დახმარების ფონდისათვის

ნიუ-იორკი, 4 მარტი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ნებაყოფლობით შეიტანოს 15 ათასი დოლარი იმ ამერიკელის პოლიტიკის მსხვერპლთა დახმარების ფონდში, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეჟიმი ახორციელებს. ეს ფონდი შეიქმნა 1965 წლის 15 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით.

საბჭოთა მთავრობის ეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ აცნობა წერილით გენერალურ მდივანს უ თანს.

ჰანოი, 3 მარტი. (საკდესი). ...

... ეროვნული ...

... ოფიციალურად ...

... ბრძოლა ...

... ბრძოლა ...

... ბრძოლა

ახალი ამბები, ცნობები, ფაქტები

შეხვედრა ნარსულთან

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის ცენტრალურმა სამეცნიერო ისტორიულმა ბიბლიოთეკამ პლასტმასის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებთან ერთად მოაწყო შეხვედრა ამავე ფაბრიკაში მომუშავე ძველ ბოლშევიკ ა. აკოფოვთან, სამამუ-

ბიბლიოთეკა — გამოფენის მონაწილე

თერჯოლა. (საკ. კორ.). შინაარსიანი და მრავალფეროვანია თერჯოლის საერთონო ბიბლიოთეკის ხაქმიანობა. მუშაობის ახალი ფორმების მუდმივ ძიებაშია საბიბლიოთეკო საქმის მცოდნე და მოყვარული თანა ფანჩულიძე.

ბიბლიოთეკას 2.300-ზე მეტი მუდმივი მკითხველი ჰყავს. მარტო უკანასკნელ ერთ წელიწადს ყველა მკითხველზე 45 ათასზე მეტი წიგნი გაიცა.

აქ ხშირად ეწყობა თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, ეკონომიური კონფერენციები, ახალ ნაწარმოებთა გარჩევა, მკითხველთა შეხვედრა მოწინავე ადამიანებთან, ექსკურსიები და ტურისტული გასვლები. ბიბლიოთეკის გამგე თ. ფანჩულიძეს შრომა დაუფასდა — იგი საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარია, დაჯილდოებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით. ამ დღეებში ბიბლიოთეკამ სასახარულო ცნობა მიიღო: სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში აქტიური მონაწილეობისათვის თერჯოლის ბიბლიოთეკის გამგემ თ. ფანჩულიძემ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მღიწვათა გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

მოკლედ

სოფლის მეურნეობის კადრების აღზრდაში დიდი როლი შეასრულა ქალაქ ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა, რომელიც 1924 წელს გაიხსნა. ტექნიკუმმა თავისი არსებობის პერიოდში ხამი ათასზე მეტი სპეციალისტი გამოუშვა. მათ შორის ბევრია უმცროსი აგრონომი, ზოოტექნიკოსი, მცენარეთა დაცვის სპეციალისტი, ბუხალტერი, მგეგმავ-ეკონომისტი.

ს. კუბავა.

ადიგენი. კარგი ხაჩუქარი მიიღეს სოფელ ფხეროს კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა. აქ აშენდა ახალი კლუბი, რომელიც 200 მაყურებელს იტევს.

ი. კაციტაძე.

ზოთა რუსთაველის ხსოვნის აღსანიშნავად

თეირანი, 4 მარტი. (საკ. ინ.). თეირანში ირანის ხალხთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა ხალამო, რომელიც მიეძღვნა **ზოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.** მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა ცნობილმა ირანელმა ლიტერატურათმცოდნემ და პოეტმა ძახრემანამ.

ხალამოს მონაწილეებს უჩვენეს ქართული კინოსტუდიის ფილმი „ჯარისკაცის მამა“.

დამფუძნებელი ურილოგის წინ

წინ დიდი საქმეა

ხვალ, 6 მარტს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიხსნება საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში უკვე გაიმართა დამფუძნებელი კონფერენციები. არჩეულ იქნენ საზოგადოების ამ განყოფილებების გამგეობები და რესპუბლიკური დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ამ საზოგადოების სახით მუსიკოს-შემსრულებელთა შემოქმედებითს კავშირში გაერთიანდნენ პროფესიონალი მუსიკოს-შემსრულებლები — ვოკალისტები, ინსტრუმენტალისტები, პიანისტები, მუსიკისმცოდნენი და სხვ. საზოგადოებას ექნება ვოკალური, ინსტრუმენტალური, საგუნდო, საბალეტო, ფოლკლორისა და სხვა სექციები.

როგორც ყველა სექციას, ისე ვოკალურ სექციას დიდი რეალური შესაძლებლობანი აქვს პროფესიულ მომღერალთა ზრდისა და გამოვლინებისათვის. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ბავშვთა ხმის დაცვის პრობლემის დროულად მოგვარება, კონტაქტის დამყარება ქართველ კომპოზიტორებთან ვოკალური ნაწარმოებების შექმნისათვის, სამეცნიერო-მეთოდური ლექციებისა და კონფერენციების მოწყობა და მრავალი სხვა აქტუალური ღონისძიების განხორციელება, რომელთა თემებს დაგვისახავს შემდგომი მუშაობა.

ყოველი სექცია გამომიშავებს თავის სამუშაო გეგმას მუსიკოსთა შემოქმედებითი დონის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

ეს საზოგადოება შესანიშნავი საჩუქარია ხელოვნების მუშაკებისათვის საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავთან დაკავშირებით. ჩვენ კი ჩვენი მხრივ არ დავზოგავთ ძალასა და ენერგიას, რათა ღირსეულად შევხვდეთ ამ საყოველთაო-სახალხო თარიღს.

მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება, რომელიც საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენს რესპუბლიკაში ყალიბდება. შესანიშნავ პერსპექტივებს გადაუშლის ხელოვნების ოსტატებს, თვითმოქმედ შემსრულებლებსა და კოლექტივებს. ამ საუკეთესო წამოწყებას ჩვენ საქმით უნდა გავცეთ პასუხი.

დ. მჭედლიძე.

ხაქართველოს სსრ ხახალხო არტისტი.

ცირკი

როცა ლომები გვართობენ

ირინე ბუგრიმოვა ვნახეთ პატარა ხაჩეხში, იქვე მდგომ დიდ რკინის გალიებთან. სამუშაო კოსტიუმი ეცვა, ცალ მუხლზე დაჩოქილი ლომის ბაკარა ბოკვერს ეფერებოდა. მას კი თათები მოეჭიდა ირინეს ხელისათვის და უმიძრაოდ იწვა ზურგზე. შორიახლოს რამდენიმე ასისტენტი იდგა. გარშემო სიწყნარე იყო და მხოლოდ ხანდახან გალიებიდან ყრუ ღრენა მოისმოდა. ირინე ალერსიანად ეუბნებოდა რაღაცას ბოკვერს, რამდენიმე წუთის შემდეგ კი შეყვარებით წამოაყენა ფეხზე. იგი ზანტად ავიდა ბუმზე, და მწვრთნელის ბრძანებით დაიწყო სხვადასხვა მოძრაობის შესრულება.

შუადღე იყო. საღამოს წარმოდგენამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო იყო დარჩენილი და მომთვინიერებელი „შავ სამუშაოს“ ეწეოდა თავის აღსაზრდელებთან.

— (ცოტა დაიღალე, — გვითხრა შან, — თითქოს მძიმე მუშაობას, მძიმე შრომას ეწეოდი. მაგრამ უამისოდ ვერ წარმომიდგენია თუნდაც ერთ დღეს არსებობა, ესენი ხომ ჩემთვის ყველაზე ძვირფასები არიან.

იქვე ზორიახლოს ჩამოსხედით რეკვიზიტის ყუთებზე. — თქვენ დაინახეთ ლომის ბოკვერი. აი მისი „მოფერების“ შემდეგ ზოგჯერ მიხდება ნაკვერების გაკეთება, ისე შეუძლია მომეფეროს თავისი ბრჭყალებით, — ხუმრობით თქვა ირინემ. ჩვენს პროფესიაში რამდენია სახარული, მაგრამ რამდენია მძიმე წუთებიც, საფრთხე ყოველ ნაბიჯზე გვიდარაჯებს. ამის თქმაზე სახე როგორღაც შეიცვალა. მომთვინიერებელს ბევრი რამ მოეთხოვება — უმიშრობა, ძლიერი ნებისყოფა, მაგარი ნერვები, ფიზიკური ძალა. რა მდგომარეობაც უნდა იყოს, მტაცებელთა წინაშე არ შეიძლება სისუსტის, უყურადღებობის გამოჩენა. ისინი ყოველთვის უნდა გრძნობდნენ და ხედავდნენ, რომ ადამიანი მათზე ძლიერია. არ შეიძლება ბორჩილებიდან გაუშვა ცხოველები თუნდაც სულ ცოტა ხანით. და აქ ირინემ გაიხსენა მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე შემთხვევა, რომელიც სამუდამოდ დაახსოვდა.

შემოდგომის ერთ-ერთ დღეს იგი თავისი მხეცებიანად საგასტროლოდ ჩავიდა სოჭში. მხეცები კარგად იყვნენ მომზადებულნი გამოსვლისათვის და მომთვინიერებელმა გადაწყვიტა მათთან რეპეტიცია არ მოეწყო. და ეს პატარა შესვენება მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

— საღამოს, — გვიამბო მან, — როცა არენაზე გავედით და ჩემი ოთხფეხი მსახიობები გავიწვიე, შევამჩნიე, რომ ცხოველები ცუდ გუნებაზე იყვნენ, უგულოდ ასრულებდნენ ჩემს განკარგულებებს. ზოგჯერ კი ერთმანეთს ულრენდნენ. მაგრამ მე განვაგრძობდი გამოსვლას იმ იმედით, რომ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგებოდა. ცხოველები წინააღმდეგობას მიწევდნენ, არ უნდოდათ დამორჩილებოდნენ. ერთ-ერთ მომენტში, როცა ცხოველები დიდ რკალში უნდა გადამტარიყვნენ, ბაფთრებული არაქლი ზურგზე დაახტა ცეზარს. მათ შორის სასტიკი ორთაბრძოლა გაიმართა. მე შეგეცადე გამეშველებინა ისინი და არენაზე წესრიგი აღმედგინა, მაგრამ ჩემს მოქმედებას წარმატება არ მოჰყოლია. არაქლს მიეშველა მისი ძმა სამური, ხოლო რამდენიმე წამის შემდეგ რადამესი და დიკიც მიეშველნენ. არენაზე რაღაც წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. ერთმანეთში გადახლართული ლომები ღრიალითა და ხმაურით გორავდნენ. მაყურებლები ადგილებიდან წამოიმალნენ.

მე წინასწარ ვხედავდი, როგორ წავიდოდა საქმე. როგორც კი მტაცებლები ერთმანეთთან ჩხუბს შეწყვეტდნენ, ყველანი მე შეცემოდნენ. ვცადე გალიის გამოსასვლელს მივასწრებოდი. მაგრამ ისე მოსდა, რომ სამურმა და არაქლმა ჩხუბში გადაღობეს გასასვლელი. ჩემი მდგომარეობა კრიტიკული ხდებოდა. როგორც მოველოდი, მხეცებმა, ერთმანეთთან ჩხუბი რომ შეწყვიტეს, მე შემომტიეს. ამ დროს ცირკში ასისტენტებმა ბრანდსპოიტები ჩართეს. წყალი რომ ესხმოდათ, ლომებმა ერთი წუთით უკან დაიხიეს, მე ამით ვისარგებლე და არენიდან გამოვვარდი. დიდი გაჭირვებით მოვახერხე არენიდან გალიებში შემერეკა მხეცები.

რამდენიმე დღის შემდეგ ვცადე აღმედგინა ურთიერთობა ლომებთან, დამემორჩილებინა ისინი ჩემი ნებისყოფისათვის. კვლავ გამოვედი არენაზე. წარმოდგენის დასაწყისშივე იგივე გამეორდა. მაგრამ მხეცებზე აღარც წყალი მოქმედებდა და არც ეცხლი. ჩემი მძიმე მდგომარეობა რომ დაინახა, არენაზე ჩემი ქმარი გამოვარდა. დიდხანს ვებრძოდით მტაცებლებს, სანამ არ მოვახერხეთ გალიებში შეგვერეკა ისინი. წარმოდგენა კი კვლავ ჩაიშალა. და მაშინ ჩემთვის ცხადი გახდა, რომ აღარ მომიხდებოდა გამოსვლა ამ ნადირებთან, რომლებშიც მხეცის გრძნობამ გაიღვიძა. გულისტკივილით მოვიშორე ისინი. მხოლოდ ეცზარი დარჩა ჩემი ერთგული და კიდევ დიდხანს გამოდიოდა ჩემთან არენაზე.

— ხშირად მეკითხებიან, — ამბობს ირინე, — ყოველივე იმის შემდეგ, რაც განიცადეთ, არენაზე როგორღა გამოდიხართ, არ გეშინიათო? მე მიყვარს ჩემი პროფესია, რომელიც ძალიან სახიშია, მაგრამ დიდ რომანტიკას შეიცავს. უამისოდ არ შემიძლია, თუნდაც რომ ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდეს.

ახლა ცხოველთა სხვა ჯგუფი მყავს, და თუ არ გაგიძნელდებათ, მოდით საღამოს წარმოდგენაზე. თქვენ ნახავთ ადამიანის მიერ დამორჩილებულ ნამდვილ მსახიობებს...

გვიანი საღამოა. თბილისის ცირკში წარმოდგენის მეორე განყოფილებაა. პროჟექტორებით გაჩახჩახებულ არენაზე ჟონგლიორები გამოდიან. ფარდის უკან კი მორიგი ნომრის მზადება მიმდინარეობს. ნელა მოაკორეს გალიები ცხოველებით. მოიტანეს რკინის საყრდენები და ფოლადის ბადე. ერთ-ერთ გალიასთან დგას ელეგანტურ თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი ირინე ბუგრიმოვა. მან ხელი შეაყო გალიაში და დიდ ლომს ეალერსება. ასე მიეჯალმება ყველა თავის „მსახიობს“. გადის ცოტა დრო გისოსის დადგმაზე, და აი იგი უკვე არენაზეა ეჭვს უზარმაზარ ლომთან. იწყება პროგრამის მთავარი ნომერი. ირინე ლომთან ერთად საჭილაზე ჯანაბს არენის თავზე, გისოსის გარეთ. ნომერს ნომერი ცვლის. მხეცები ხტიან, პირამიდად ეწყობიან, უკანა ფეხებზე დგებიან. რად ღირს ის ნომერი, როცა ირინე დაიჩოქებს და კბილებით უჭირავს უი მარცი. მისი ბრძანებით უზარმაზარი მხეცი ნელა, კატასავით ეპარება, შემდეგ კი ნაზად და ფრთხილად გამოარმევს ხორცს, ისე რომ ოდნავ არ შეაწუხებს მომთვინიერებელს. მისი ბრძანებით ლომები კატის კნუტებივით წვებიან არენაზე და ქმნიან „ცოცხალ ხალიჩას“, რომელზეც მომთვინიერებელი აქეთ-იქით გადაგორდება ხოლმე და ცხოველებს ეთამაშება.

უზარმაზარი ფაფარიანი ლომი ალერსით შემოხვევს თათებს და ამით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მომთვინიერებლისადმი. აი ჭეშმარიტად ადამიანის ნებისყოფისა და ცხოველის ბრმა ინსტინქტის დემონსტრაცია.

წარმატაცი სანახაობა დასასრულს უახლოვდება. ენთება ეცხლის დიდი რკალი. მასში ერთმანეთის მიყოლებით ხტებიან ლომები და არენის უკან მიიმალებიან. წარმოდგენა მთავრდება. მწვრთნელი ხელიდან აგდებს დიდ თეთრ შოლტს. მამაცი ქალი მომხიბლავად იღიმება. თვალები კმაყოფილებით უციმციმებს. მაყურებლები ფეხზე ამდგარნი მქუხარე ტაშს უკრავენ, რითაც ჯეროვნად აფასებენ მის ნებისყოფას, უშიშრობასა და გმირობას.

ვლ. გინზბურგი.

სურათებზე: ი. ბუგრიმოვას გამოსვლა თბილისის ცირკში.

ფოტო ავტორისა.

პატარა ოსტატი

მაღალი, სველი ხეები შეყვითლებული ფოთლებით სულ ასე დგანან წვიმაში. მათ ფრთები არა აქვთ როგორც წერილებს, რომ თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ... ახლა წყნეთში ცივა. ნიკა პაპა ბუხართან ზის და ჩიბუხს ეწევა. ქვაბში გოგრა იხარშება. წყლის შეშა ტკაცუნობს და ბოლი საკვამურში მიიწევს. დიდი ნოვლიანი თვალები აქვს ნიკა პაპას... ფიქრობს დათო ბიჭი, მერე თუნუქის ნაჭერი მოძებნა. მისი პატარა ხელები ერთხანს ატრიალებდა ჩაქუჩს, საჭრელთან კონტური შემოხაზა ლითონზე. ხაზები რბილად ამოიტვიფრა თუნუქზე. ტუჩების კუთხეებში ღიმილი ჩაილვარა. წვიმის წვეთების წკაპუნს ჩაქუჩის კაკუნი შეეხმიანა. ბიჭი კი ჭედავს, და თანდათან მეტი სითბო ემატება წყნეთელი ბერიკაცის სახის კონტურებს. ხაზები მრავლდება, მეტყველებს. ნიკა პაპას დიდრონნი, ნოვლიანი თვალები უცქერიან ბიჭს. უცქერიან და უცქირთ...

— ახლა არასოდეს აღარ დამავიწყდები, ჩემო ნიკა პაპა. მაშინ თბილოდა და ტყისპირზე ძროხები მიგყავდა. ოდნავ მოხრილი მიაბიჯებდი და მოჭუტული თვალებით უყურებდი მზეს...

— რა გქვია, ბიჭო?

— დავითი... ჭუმბურიძე.

— ოჯო... ჰო დავითი... ქალაქელი ხარ?

— დიახ.

— რამდენი წლისა ხარ, კაცო!

— ცხრა წლისა.

— ე რამდენი ყვავილები დავიკრეფია, რათ გინდა, გოგო ხარ ეარ!

— უნდა დავხატო...

— ბიჭოს. მე არ დამხატავ?..

...ხომ დაგხატე, ნიკა პაპა! — ელიმება ბიჭს.

„ჭორიკანა ბაჭიები“ იყურებიან კედლიდან. ლითონის ბაჭიები. სასაცილოდ დაუქვეტეთით ყურები. „ალბათ ხაფანგში გაბმული მელია ბგონდებათ. — „წარმოგიდგენია, ყურქვეტა“, ხითხითებენ.

დათო ჭუმბურიძე პატარა ჭედურობის ოსტატია. ბაჭიები კი არა, რა არ გააკეთა მისმა პატარა ხელებმა. ჭედვის თავისი მანერა აქვს უკვე და ძალიან სერიოზულიც. ის ახლა დგას კედელთან და ფიქრობს, რომელი სურათის გვერდით მიაკრას ნიკა პაპას პორტრეტი. აგერ ბავშვები მღერიან „დაე მუდამ იყოს მზე...“ ამათ გვერდით გააკეთებს პაპას პორტრეტს, ხომ მათსავით უყვარს მზე.

ლითონი საოცრად მღერადია, მეტყველი. ამ ბიჭუნებს და გოგონებს თვითეულს აქვს თავისი ინდივიდუალური სახის ნაკვთები, გამომეტყველება, განწყობილება. საოცარია, ამ პატარა ბიჭმა როგორ შეიგრძნო სიმღერის ხასიათი და „პატარების დამოკიდებულება მუსიკისადმი...

დათოს უყვარს მუსიკა და არა მარტო უყვარს, თვითონაც წერს. წარმოიდგინეთ — გალაკტიონის ლექსებზე! არ ვიცი ალბათ მუსიკაც ეხმარება პატარა ბიჭს თავისებურად აღიქვას გარემო, განაზოგადოს კონკრეტული სახე თუ განწყობილება და არაბავშვური სიღრმით გადმოგვცეს ლითონში ხასიათები და, თუ გნებავთ, შინაგანი სამყარო.

„სამნი ძმანი გურულები“... ბევრ მომწიფებულ შემოქმედს შეშურდება მისი ლაკონური და მეტყველი შტრიხისა. აქ გურულების გარეგნულ, დამახასიათებელ სიმკვირცხლეში შერწყმულია სიმღერის ხასიათი.

ვინ არიან ეს პატარები — „დამსახურებული ნიშნების“ გმირები? დათო ჭუმბურიძეს რომ შეეკითხოთ გაიღიმებს და მრავალმნიშვნელოვნად დუმს. იქნებ ისინი მისი თანაკლასელები არიან. თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები... ან იქნებ სხვებიც. გოგონას ლამაზი თმა და ღიმილით განათებული სახე აქვს. მან დღეს ხუთიანი მიიღო. ბიჭი კი ტირის და ცრემლები ღაწვებზე ეპკურება. დათოს არ უყვარს ზარმაცი ბავშვები, ის ხომ ხუთოსანია, და მათ ყოველთვის გაშარჟებულად, გროტესკულად გადმოგვცემს. სამაგიეროდ მას „ტუხაანთ ბიჭი“ მოსწონს. სვანური ქუდი კოხტა ქოჩორს როდი უფარავს. ამაყია ტუხაანთ ბიჭი, ღონიერი. ისეთი შეუპყარი იცის — მტრისას. ჭრელი, დაწინწკლული ხალათი აცვია და ყვინჩილასავით დაბიჯებს ორლობეში. დათომ ლითონზე გააცოცხლა ფალავანი „ტუხაანთ ბიჭი“, ახლა მისი მეგობარია.

დათო მამას (საკაკი ჭუმბურიძე მოქანდაკეა და მ. თოიძის სახელობის სამხატვრო-პროფტექნიკურ სასწავლებელში მოდელწერობს) ხშირად დაჰყავდა პიონერთა სასახლეში. იქ ყველაფერი ზღაპარსა ჰგავდა. ბიჭი ცნობისმოყვარე, დიდრონი თვალებით ყველაფერს აღიქვამდა. ერთხელ პიონერთა სასახლის დირექტორმა ჯუნა კვარაცხელიამ ჰკითხა.

— დათო, ახლა რაზე მუშაობ?

— „ომობანას“ აღარ ვთამაშობ“...

— ო, ეს ძალიან რთული თემა ბგირჩევია...

— მე ჯერ ამაზე ბევრს ვფიქრობ.

სასახლის დირექტორს გაეღიმა:

— როგორ გაქვს მინიც ჩაფიქრებული.

ბიჭი ერთხანს დუმდა და ფიქრობდა ხეებიან ძიაზე, ჯოხის კაკუნით რომ მიაბიჯებდა ქვაფენილზე. ეს მამამ უთხრა, ამ კიცმა ფეხი ომში დაკარგო... დათოს ძალიან უყვარს მამა... და თურმე რამდენი მამა აღარ დაბრუნებულა ომიდან შინ... ბავშვები კი ისე ელოდნენ...

— დათო, აბა სცადე დედასა და შვილის სიყვარულის შესახებ თქვა ლითონში. რა თქმა უნდა, ეს შენ როგორც გესმის ისე გადაწყვიტე, ხომ ძალიან გიყვარს დედა...

— დედა ყველას უყვარს.

თვალები დახარა ბიჭმა.

იმ საღამოს მარილა გამოჭედა დედა-შვილის კომპოზიცია. ძალიან სადაგ, გულწრფელად თქვა ცხრა წლის ბიჭმა ამ მარადიული თემის შესახებ და უნებურად ჩაგვფიქრა.

მან ჯერ არ იცის პროპორციისა და საფრანგეთის ცხრაგზის ჩემპიონის **დარმონის** ფინალური მატჩი. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში მოუგო **ლეიშსს. შეხვედრა შეუპოვარი** გამოდგა, საკმაო რისკი ითქვას, რომ ბრძოლა სამ საათს გრძელდებოდა. ხუთ პარტიაში წარმატება ფრანგ ჩოგბურთელს ხვდა, რომელმაც ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა.

ჩოგბურთელთა ტურნირის ფინალები

გუშინ მოსკოვში, არმიის ცენტრალური სახლის სპორტო კლუბის სახახლეში ფინალში ჰქონდა ჩოგბურთელთა დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც მონაწილეობდნენ რვა ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლები.

ასპარეზობა აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების წარმატებით. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ისინი არა მარტო ყველა ფინალის მონაწილენი იყვნენ, არამედ მეტწილად გამარჯვებულნიც.

როგორც ვიუწყებოდით, ქალთა ერთეულების ფინალში გავიდნენ ხსრ კავშირის ჩემპიონი კიეველი **ბაკშეევა** და ექს-ჩემპიონი მოსკოველი **დმიტრიევა.** ექს-ჩემპიონი აღმავლობით იბრძოდა და დაამარცხა **ბაკშეევა** ანგარიშით 9:7, 6:4. ამრიგად, ქალთა ასპარეზობაში პირველი ადგილი **დმიტრიევამ** დაიკავა.

დიდ ინტერესს იწვევდა ხსრ კავშირის ჩემპიონის **მეტრმეველისა** და საფრანგეთის ცხრაგზის ჩემპიონის **დარმონის** ფინალური მატჩი. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში მოუგო **ლეიშსს.** შეხვედრა შეუპოვარი გამოდგა, საკმარისია ითქვას, რომ ბრძოლა სამ საათს გრძელდებოდა. ხუთ პარტიაში წარმატება ფრანგ ჩოგბურთელს ხვდა, რომელმაც ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა.

ფერკერკის ქოლგა

ჩქარსნული ციგურაობაში მსოფლიოს ახალ ჩემპიონს ჰოლანდიელ სპორტსმენ კეეს ფერკერკს ამ სახეობის სპორტის ბევრი სპეციალისტი და მოყვარული ამირეულ ადამიანად თვლის. საქმე ის არის, რომ ფერკერკი მუდამ აკვირვებს გულშემატკივრებს, რადგან ვარჯიშის დროს რეგულარულად სრიალებს... ქოლგით ხელში, მაშინაც კი, როცა არცა თოვს და არცა წვიმს...

ახლა, როცა ჰოლანდიელი მოციგურავე დიდების შარავანდედით არის მოსილი და ყველანი ერთმანეთს ეცილებიან, რომ მისგან ინტერვიუ აიღონ, ქოლგის საკითხი ეურნალისტთა თითქმის ყველაზე პოპულარული კითხვა გახდა. და აი რა პასუხს იძლევა ამაზე ფერკერკი:

„ჩემი ქოლგა უბრალო ახირებულობა როდია. აბა სცადეთ ხელში აიღოთ ჩვეულებრივი ქოლგა და რამდენიმე წრე გააკეთოთ ქარიან ამინდში. დარწმუნებული ვარ, რომ ყველას როდი გამოუვა ეს. ქოლგა ქარის დროს აფრის როლს ასრულებს, და მოციგურავეს უნდება საკმაოდ ბევრი ძალა მოახმაროს მის დამორჩილებას. ქოლგით ციგურაობა გამოუშუშავებს სპორტსმენს მანევრირების უნარს, ხიშარჯვეს, ასწავლის ისე მართავდეს ციგურებს, როგორც საკუთარ ფეხებს. ვარაუებს ჩემს მეტოქეებზე უკეთ გავდივარ მხოლოდ ქოლგის მეოხებით. მან მასწავლა ბევრი „მაცდუნებელი“ ტრიუკი, რომლებიც მეხმარება იმაში, რომ მოწინააღმდეგე შეცდომაში შევიყვანო. ამიტომ დამწყებ მოციგურავეებს ვურჩევ: ნუ უგულებელყოფთ ქოლგას!“ (აას).

„ნეფტიანიკი“ — „ბურნიკი“

ბუშინ ბაქოში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ბაქოს „ნეფტიანიკისა“ და პოლონეთის „ბურნიკს“ შორის. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

სპორტული ქრონიკა

□ **თბილისში** დასასრულს უახლოვდება საქალაქო საჭადრაკო ჩემპიონატები. გუშინდლამდე ვაკებმა გაითამაშეს 15 ტური. ლიდერობს ოსტატი **რ. ჯინჯიხაშვილი** ინარჩუნებს, რომელსაც 12 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა **დ. ჯანოევი** — 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ქალთა შორის დაწინაურდა **ხ. ივანოვა** — 11,5 ქულა. მომდევნო ადგილებზე ერიან **ა. გაგნიძე** და **მ. ხანაძე.**

□ **მსოფლიო** ჩემპიონატისათვის მზადების გადაწყვეტ ეტაპს სსრ კავშირის შაიბიან ჰოკეისტთა ნავრება გუნდი შვეიცარიაში ატარებს. მორიგ მატჩში საბჭოთა გუნდის მეტოქე იყო შვეიცის პირველი ნაკრები. ამჯერადაც წარმატება საბჭოთა ჰოკეისტებს ხვდათ. მათ დაამარცხეს მეტოქე 8:2.

ტურგენევის საჩუქარი

უკრაინის სოფელ ბუსტოვოტკის პენსიონერმა მასწავლებელმა ლ. გ. აბრამოვიჩმა ორიოლის ი. ს. ტურგენევის მუზეუმს საჩუქრად გადასცა მწერლის ფოტოსურათი ავტოგრაფით: „ძველ მეგობარს ვ. როლსტონს ტურგენევისაგან. ბუჟეველი. 1877 წელი“.

ვილიამ როლსტონმა — ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა და კრიტიკოსმა ბევრი რამ გააკეთა რუსული ლიტერატურის პროპაგანდისათვის ინგლისში. მას ალმას ადუთვნის სტატიები რადიშჩევის, გერცენის, გონჩაროვისა და სხვა რუსი მწერლების შესახებ. ცნობილია კრილოვის ორგან-არაკებისა და „აზნაურთა ბუდის“ მისეული თარგმანები.

„აზნაურთა ბუდის“ თარგმანის შესახებ, რომელიც 1869 წელს გამოიცა ინგლისში „ლიზას“ სახელწოდებით, ივანე სერგეის-ძე ტურგენევი თავის ინგლისელ მეგობარს წერდა: „სრულიად გულწრფელად უნდა გითხრათ: ეს თარგმანი გაცილებით სჯობს ჩემი ნაწარმოებების ყველა სხვა თარგმანს. დიდი შრომა გიგიწევიათ და შემძლია ვთქვა — სიყვარულით გითარგმნიათ, რამაც დიდად მასიამოვნა“.

ჭერჭერობით გაურკვეველია, როგორ მოხვდა უკრაინაში ფოტოსურათი, რომელიც როლსტონისათვის უნოქერია ტურგენევს. ლ. გ. აბრამოვიჩს შემთხვევით შეუძენია იგი 1926 წელს კიეველი ბუკინისტისაგან. იქნებ ვინმემ იცოდეს ამ ფოტოსურათის ისტორია?

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გადაგიცეთ ყველა ორგანიზაციას, მეგობარსა და ამხანაგს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება პროფესორ **ნ. ვ. ქაშაკაშვილის** ვარდაცვალების გამო.

ნ. ქაშაკაშვილის ოჯახი.

ფრიალებს სპარტაკიადის ალამი

გორკასა და ტერსკოლში გრძელდება პროფკავშირთა ზამთრის მეექვსე სპარტაკიადა მიძღვნილი საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი.

გუშინ გამოვლინდა კიდევ ორი ჩემპიონი. სათხილამურო რბოლაში 5 კილომეტრზე ქალთათვის ოქროს მედალი მოიპოვა **ფ. ხელნჯანოვამ.** სათხილამურო ორეულში უძლიერესი იყო ლენინგრადელი **რ. მაკარი.**

ელეგანტურობა, რიტმი

ვენა სპორტული სამყაროს უურადღების ცენტრშია. სწორედ აქ წყდება ოქროს მედლების საკითხი ფიგურულ ციგურაობაში. მაყურებლები მოხიბლულნი არიან ოსტატობით, ელეგანტურობით, რიტმით.

ვაჟთა ერთეულებში ძირითადი ბრძოლა მიმდინარეობდა ცნობილი ავსტრიელი მოციგურავეების ევრომისა და მსოფლიოს ჩემპიონ **ემერიხ დანეკერსა** და ვერცხლის პრიზიორ **ვოლფგანგ შვარცს** შორის.

სავალდებულო პროგრამით წინ იყო ვ. შვარცი, მაგრამ ნებისმიერ პროგრამაში ე. დანეკერმა იშვიათი ოსტატობით შეასრულა რთული ნომრები და შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონობა.

ვერცხლის პრიზიორი გახდა **ვ. შვარცი,** ბრონზაოსი — ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი **გ. ვისკონტი.** საბჭოთა მოციგურავე **ს. ჩერეტიანინი** მეცამეტე ადგილზე გამოვიდა.

ჭადრაკი

იუსტა უტევს ოსტატს

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით 6 წლის გერმანელი გოგონას **იუსტა ჰემპელის** შესახებ, რომელმაც დეკემბერში ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 12 დაფაზე. სეანსიორმა, როგორც ცნობილია, ჩინეთში შედეგს მიაღწია: 9 პარტია მოიგო, 1 ყაიმით დაამთავრა და 2 წააგო.

აი ახალი ცნობები ამ მოჭადრაკე გოგონას შესახებ:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და დანიის საზღვარზე არის პატარა ქალაქი ფლენსბურგი, რომელიც ახლა კარგად ცნობილი გახდა ჭადრაკის სამყაროში. ამ ქალაქში ცხოვრობს 6 წლის იუსტა ჰემპელი, რომელსაც დიდი საჭადრაკო ნიჭი აქვს. მან ისწავლა თამაში მამისაგან, რომელიც ინაერთოგზის ყოფილი ქ. ფლენსბურგის ჩემპიონი. ორ წლის იუსტა თავისებურად „ეთამაშებოდა“ ჭადრაკის ფიგურებს, სამი წლისამ კი უკვე ისწავლა სვლები. ოთხი წლის ბავშვმა მონაწილეობა მიიღო ჭაბუკთა ტურნირში, რომელიც მის ქალაქში გაიმართა, და ყველა მეტოქეს სძლია.

ქ. ფლენსბურგში ორი საჭადრაკო კლუბია — ერთი გერმანელთათვის, მეორე — დანიელთათვის. 6 წლის გოგონა ორივე ამ კლუბის წევრია. მან ჯერ კიდევ არ იცის წერა-კითხვა, მაგრამ კარგად ფლობს საჭადრაკო ნოტაციას. უფრო მეტიც — ზეპირად ახსოვს თავისი და სხვადასხვა ოსტატების მიერ გათამაშებული რამდენიმე პარტია, კარგად ითვლის 4-5-სვლიან კომბინაციებს.

ამას წინათ ქ. გლიუკსბურგში (იუსტას მშობლიური ქალაქის მახლობლად) გაიმართა „ჭადრაკის პრაპაგანდის დღეები“. მისმა ორგანიზატორებმა მოაწყეს იუსტას შეხვედრა ცნობილ საერთაშორისო ოსტატ ჰეპტთან, რომელიც გერ-ის ნაკრების წევრია. იუსტა თეთრებით თამაშობდა. გერმანელი საჭადრაკო ჟურნალები ათავსებენ ამ პარტიას, რომელიც საკმაოდ საინტერესო გამოდგა.

გოგონამ აირჩია ინდიური „ბერდის დებიუტი“ ეწოდება. ჰეპტმა უპასუხა პაიკის თეორიული შეფირვით, რომელიც როდი აღმონნდა მოფლოდნელი იუსტასათვის. იგი დიდხანს დაეხებით უტევდა ოსტატს და დამარცხდა მხოლოდ 43-ე სვლაზე. ამ პარტიაში პატარა მოჭადრაკემ გააკეთა რამდენიმე შესანიშნავი სვლა, რომელიც მის უდავო ნიჭიერებაზე მიუთითებს. დამარცხების